ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მიმოზა ლოლიჯაშვილმა. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოში შემავალ ქ. გორის N11 სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 25 და 26 მარტს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: „ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში,, (მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის)“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 115. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების სტატუსის მაძიებელს შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 85 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, მიმოზა ლოლიჯაშვილმა, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მეორე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, მესამე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა მეორე და მეოთხე სტანდარტების შეუსაბამობებით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მეორე სტანდარტთან მიმართებით გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა ტექნიკური ხარვეზის გამო გამორჩათ

არგუმენტირებული პოზიციის ეტაპზე. ხოლო, მეოთხე სტანდარტის შეუსაბამობებთან მიმართებით, ტექნიკური ხარვეზის გამო, შესაბამისობის გეგმაში იყო რიგი ხარვეზები გამორჩენილი, რაც უკვე გამოსწორებულია.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა შენობის მდგრადობის საკითხით. დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ შენობის მდგრადობა უკვე შესწავლილია, მიმდინარეობს სატენდერო დოკუმენტებზე მუშაობა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფარგლებში იგეგმება სექტემბრამდე შენობის სრული რეაბილიტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 13:05

დასრულების დრო - 13:21

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს (ქ. გორის N11 სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულება) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 115-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება:

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-6 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს (ქ. გორის N11 სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულება) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 85-ით.

საბჭომ ავტორიზაციის II, III და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 18 ივნისისა.

ასევე, შენობის არსებული მდგომარეობის გამოსწორებამდე არ განახორციელოს სააღმშრდელო და საგანმანათლებლო პროცესი და არაუგვიანეს 2026 წლის 1-ელი სექტემბრისა ცენტრში წარადგინოს შენობის მდგრადობის დასკვნა და განხორციელებული შესაბამისი ღონისძიებების ამსახველი მტკიცებულებები.

ავტორიზაციის საბჭომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად აღნიშნა 2.2 კომპონენტის შეფასების ცვლილება და შეფასება ნაცვლად „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეიცვალა შეფასებით „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეორე სტანდარტის შეფასება „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეიცვალა შეფასებით „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. ასევე, 4.5 კომპონენტის შეფასება „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეიცვალა შეფასებით „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტის შეფასება „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეიცვალა შეფასებით „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (საგარეჯოს N2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საპატიო მიზეზის გამო საბჭოს სხდომას ვეღარ ესწრებოდნენ საბჭოს წევრები, ნინო გიუაშვილი და მაკა მაისურაძე.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო ავსაჯანიშვილმა. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალი საგარეჯოს N2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 01 და 02 აპრილს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა

იყო 103. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების სტატუსის მაძიებელს შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 80 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, ნინო ავსაჯანიშვილმა, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მეორე და მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც "ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა მე-4 სტანდარტის 4.3 კომპონენტით, რადგან ინფრასტრუქტურის ნაწილში კომპლექსური მაშტაბური გამოწვევები გამოიკვეთა. მათ შორის, სანიტარულ კვანძში საბავშვო ზომის უნიტაზების მაგივრად, დადგმული თურქული ჯამები. მან განმარტა, რომ ასეთი სანიტარული კვანძი არ არის მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული, ვერ მოდის შესაბამისობაში სანიტარია - ჰიგიენის მოთხოვნებთან. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებს, თუ როდის იგეგმება ამ ხარვეზის გამოსწორება.

გაერთიანების დირექტორმა, ქეთევან ნიკოლაიშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული თითოეული ხარვეზი გაანალიზდა მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად, ბიუჯეტში გათვალისწინებულია საჭირო სახსრები და ადგილობრივი თვითმართველობის მხარდაჭერით, ხარვეზებზე მუშაობა დაიწყება უახლოეს პერიოდში. ამ საკითხს ასევე გამოეხმაურა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი, გურამ მარხვაშვილიც, რომელმაც განმარტა, რომ საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა მიმდინარეობს, გამოცხადდება ტენდერი და ზაფხულის პერიოდიდან ეტაპობრივად განხორციელდება ყველა სამუშაო.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა იმ შეუსაბამობებით, რომელთა აღმოსაფხვრელადაც დაწესებულების სტატუსის მაძიებელს უკვე დაწყებული აქვს მუშაობა. დაწესებულების მენეჯერმა, მზია ბეჟიტაშვილმა, განმარტა, რომ ის შეუსაბამობები, რომელთა გამოსწორებაც შესაძლებელი იყო, უკვე დაწყებულია. მაგალითად: შეკეთდა კარ-ფანჯრის სახელურები, ეზოს შემოსასვლელი ჭიშკარი, სამზარეულოს და სამრეცხაოს ნიჟარები და წყალსადენი მილები, ავეჯი და ჭერიც დაუყოვნებლივ შეკეთდა. დაწესებულების პერსონალმა მოთხოვნისამებრ, წარმოადგინა პირადი საქმისთვის: ჯანმრთელობის, ნარკოლოგიის და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან დაკავშირებული ცნობები. დაიწყეს ეტაპობრივად თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმებაც.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა რეფერირების საკითხით. გაერთიანების დირექტორმა, ქეთევან ნიკოლაიშვილმა, განმარტა, რომ რეფერირებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია ბადის მეთოდისტი, რომელსაც გავლილი აქვთ შესაბამისი ტრენინგები. შესაბამისი მეთოდოლოგიაც ბრძანებით არის დამტკიცებული. ასევე, ცენტრის მეთოდისტის მიერ პერიოდულად ტარდება შეხვედრები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. შესაძლო შემთხვევების იდენტიფიცირებისას, შესწავლა ხდება ადგილზევე,

შემდეგ ინფორმაცია მიეწოდება ხელმძღვანელობას, ხოლო ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, სოციალურ სამსახურს ეცნობება და გადაეცემა საქმე რეაგირებისთვის. საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა აღმზრდელ პედაგოგის პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის ფარგლებში საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადების საკითხით.

დაწესებულების მენეჯერის განმარტებით, მიმდინარე ეტაპზე 4 აღმზრდელ-პედაგოგია აღმზრდელ პედაგოგის პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის ფარგლებში გადამზადებული. ხოლო 3 ახალ აღმზრდელს გავლილი არ აქვს შესაბამისი პროფესიული ტრენინგი და სამომავლოდ დაგეგმილია მათი გადამზადება.

საბჭოს წევრი, ნინო ლაბარტყავა, დაინტერესდა ღობის უსაფრთხოების საკითხით. საგარეჯოს მერის მოადგილემ, გელა ოკინაშვილმა, განმარტა, რომ მნიშვნელოვანი გამოწვევების გამოსასწორებელ ვადებს გაივლის გაერთიანების დირექტორთან ერთად და ზაფხულშივე დაიწყებენ ხარვეზების აღმოფხვრას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:18

დასრულების დრო - 14:50

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (საგარეჯოს N2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების) ავტორიზაციის და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 103-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-6 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას (საგარეჯოს N2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 80-ით.

საბჭომ ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 18 ივნისისა. ასევე, დაწესებულებას დაევალა არაუგვიანეს 2026 წლის პირველი

სექტემბრისა, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში იდენტიფიცირებულ კრიტიკულ შეუსაბამობებთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირება.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (ხაშმის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო ავსაჯანიშვილმა. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალი ხაშმის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 03 და 04 აპრილს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში.“ 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 50. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 28 ბავშვისთვის. ექსპერტმა ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან,“ მეორე და მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც "ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის

გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა დაწესებულების სტატუსის მაძიებელში გამოვლენილ ხარვეზებთან მიმართებით მუნიციპალიტეტის მერის ჩართულობის საკითხით.

მერის მოადგილემ, გელა ოკინაშვილმა, ისაუბრა, რომ ცალსახად დაიწყეს პრობლემების მოგვარება და ხარვეზების აღმოფხვრა, ეტაპობრივად მიყვებიან დღის წესრიგს. მოკლე დროში მოწესრიგდება არსებული შეუსაბამობები, რადგან მუნიციპალიტეტს აქვს შესაბამისი რესურსი. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა მდგრადობის დასკვნების არსებობის საკითხით. გაერთიანების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ შენობა-ნაგებობის მდგრადობის დასკვნებზე მიმართვები უკვე გაგზავნილია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:29

დასრულების დრო - 15:52

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (ხაშმის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების) ავტორიზაციის და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 50-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-6 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას (ხაშმის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 28-ით.

საბჭომ ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 18 ივნისისა. ასევე, დაწესებულებას დაევალა არაუგვიანეს 2026 წლის პირველი

სექტემბრისა, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში იდენტიფიცირებულ კრიტიკულ შეუსაბამობებთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირება.

მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (პატარა ჩაილურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო ავსაჯანიშვილმა. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალი პატარა ჩაილურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 5 და 6 აპრილს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში.“ 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 40. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 28 ბავშვისთვის. ექსპერტმა ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ მეორე და მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული

ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ, რეკომენდაციით მიმართა დაწესებულებას რომ სანიტარულ კვანძში არსებულ ფანჯრის მინას გადაეკრას ფირი ან შეიღებოს, რათა პრივატულობა იქნას დაცული.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა აღმზრდელთა რაოდენობითა და მათი გადამზადების საკითხით.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მენეჯერმა, მარინა შანიძემ, განმარტა, რომ დაწესებულებაში ჰყავთ 2 აღმზრდელი და ორივეს გავლილი აქვს ღმზრდელ პედაგოგის პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:16

დასრულების დრო - 16:20

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (პატარა ჩაილურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების) ავტორიზაციის და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 40-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-6 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას (პატარა ჩაილურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 28-ით.

საბჭომ ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 18 ივნისისა.

მეცხრე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (მანავის N2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო ავსაჯანიშვილმა. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალი მანავის N2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 07 და 08 აპრილს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“. 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 25. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 15 ბავშვისთვის.

ექსპერტმა ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ მეორე და მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც "ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა სააღმზრდელო დაწესებულების ფსიქოლოგის კვალიფიკაციის საკითხით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა აღნიშნა, რომ ფსიქოლოგის პოზიციაზე დასაქმებულ პირს არ ჰქონდა ფსიქოლოგის კვალიფიკაცია მინიჭებული.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ, განმარტა, რომ დაუშვებელია ფსიქოლოგის ფუნქცია-მოვალეობს ითავსებდეს სხვა პროფესიის ადამიანი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:45

დასრულების დრო - 16:48

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (მანავის N2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების) ავტორიზაციის და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 25-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-6 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას (მანავის N2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 15-ით.

საბჭომ ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 18 ივნისისა.

მეათე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (გომბორის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ

საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო ავსაჯანიშვილმა. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალი გომბორის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 14 და 15 აპრილს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“. 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 22. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 15 ბავშვისთვის.

ექსპერტმა ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ მეორე და მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც "ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა, ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებული მიმდინარე ღონისძიებებით. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მენეჯერმა, თამარ ნეკრესელაშვილმა, განმარტა რომ ეზოში განხორციელდა გარე განათების მონტაჟი; დოკუმენტურად მოწესრიგდა სტანდარტულ ოპერაციული პროცედურები; შეძენილია დენსართის დამცავები; ღობის მთლიანობის აღდგენის მიზნით გატარებულია დროებითი ღონისძიებები და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებები შესრულდება შესაბამის ვადებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:05

დასრულების დრო - 17:07

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (გომბორის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების) ავტორიზაციის და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 22-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-6 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას (გომბორის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 15-ით.

საბჭომ ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 18 ივნისისა.

მეთერთმეტე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანების (მთისძირის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ

არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარიკა ანდლულაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანებაში შემავალ მთისძირის საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 24 და 25 მარტს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2 დან 6-წლამდე. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 35. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 35 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, მარიკა ანდლულაძემ ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ და მეორე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან,“ მესამე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან,“ ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.“

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა კვების მენიუს საკითხით. გაერთიანების დირექტორმა განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით შესყიდულ იქნა მენიუ. გამოცხადებულია ერთწლიანი ტენდერი, ხოლო 2027 წლის იანვრიდან ამოქმედდება ახალი მენიუ.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა არტეზიული ჰის მოწყობის საკითხით. გაერთიანების დირექტორმა აღნიშნა, რომ საბავშვო ბაღში არის არტეზიული ჰა, რომელსაც სჭირდება კეთილმოწყობა. მისივე განმარტებით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ხარვეზი აღმოიფხვრება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებულ ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:39

დასრულების დრო - 17:45

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანების (მთისძირის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 35-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანებას (მთისძირის საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 35-ით.

საბჭომ ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 18 ივნისისა.

მეთორმეტე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანების (მუქედის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარიკა ანდლულაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანებაში შემავალ მუქედის საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 26 და 27 მარტს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-დან 6-წლამდე. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 30. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 30 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, მარიკა ანდლულაძემ ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ და მეორე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან,“ მესამე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან,“ ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.“

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ფიქსირდება ხარვეზი გარე განათებასთან დაკავშირებით. მუქედის საბავშვო ბაღს გააჩნია ეზოს/ გარე სივრცის ტერიტორიაზე განათების წყარო, რაც უზრუნველყოფს შენობამდე დაუბრკოლებლად მისვლას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში ნაგვის ურნისა და თერმომეტრების დამონტაჟების ხარვეზის აღმოფხვრისთვის მითითებული ვადით.

გაერთიანების დირექტორმა განმარტა, რომ დასახელებული ხარვეზები აღმოფხვრილია და 2026 წლის სექტემბრისთვის საბავშვო ბაღში განთავსებული იქნება სტანდარტის შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების იდენტიფიცირების საკითხით.

გაერთიანების დირექტორმა განმარტა, რომ ბავშვებზე დაკვირვებას ახორციელებს მულტიდისციპლინური გუნდი. შემთხვევის იდენტიფიცირების შემდგომ კი ხდება ინფორმაციისა და საჭირო დოკუმენტების მშობლისთვის მიწოდება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დასრულების დრო -18:04

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანების (მუქედის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 30-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ელი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-6 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანებას (მუქედის საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 30-ით.

საბჭომ ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 18 ივნისისა.

მეცამეტე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანების (ბზვანის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარიკა ანდლულაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ საბავშვო ბაღების

გაერთიანებაში შემავალ ბზვანის საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 28 და 29 მარტს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-დან 6-წლამდე. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 20. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 15 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, მარიკა ანდლულაძემ ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ და მეორე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან,“ მესამე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან,“ ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.“

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა ცენტრალური გათბობის საკითხით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ვიზიტის განხორციელების პერიოდში დაწესებულების სტატუსის მაძიებელი არ იყო შესაბამისად უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობით, თუმცა ეს ხელს არ უშლიდა ცხელი წყლით მომარაგების საკითხს, ვინაიდან სამზარეულო ბლოკში დამონტაჟებულია წყლის გამათბობელი.

გაერთიანების დირექტორმა დამატებით განმარტა, რომ აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრაზე მუშაობა უკვე დაწყებულია. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს დაწესებულებაში გათბობა უზრუნველყოფილი იყო ელექტრო ქურების საშუალებით.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის საკითხით.

გაერთიანების დირექტორმა განმარტა, რომ რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირად განსაზღვრულია საბავშვო ბაღის უფროსი, რომელსაც უახლოეს პერიოდში ჩაუტარდება ტრენინგი და გადაეცემა შესაბამისი სერტიფიკატი. გარდა ამისა, დაწესებულებაში განთავსებულია ანონიმური ყუთი მშობლებისთვის, სადაც შესაძლებელია მოთავსდეს ინფორმაცია იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლის მიწოდებაც სურთ დაწესებულების წარმომადგენლებისთვის.

საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი დაინტერესდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წყალმომარაგების საკითხით.

გაერთიანების დირექტორმა აღნიშნა, რომ სასმელი, საკვების მოსამზადებელი და პირადი ჰიგიენისთვის საჭირო წყალი შემოაქვთ მეზობელი ბაღიდან აქტების საფუძველზე. თუმცა აღნიშნულ საკითხზე მუშაობს დაწესებულება და სამომავლოდ უზრუნველყოფილი იქნება საბავშვო ბაღის არტეზიული წყლით მომარაგება.

საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი დაინტერესდა სამედიცინო მომსახურების სივრცის არსებობის საკითხით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობაში არის შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 18:20

დასრულების დრო -18:22

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანების (ბზვანის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 20-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-6 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანებას (ბზვანის საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 15-ით.

საბჭომ ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 18 ივნისისა.

მეთოთხმეტე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანების (ციხესულორის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი, მარინე ბაიდაური, შემდგომ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირმა გივრაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანებაში შემავალ ციხესულორის საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 24 და 25 მარტს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ (2_6 წლამდე). სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 15. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 15 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, ირმა გივრაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან,“ ხოლო მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

ექსპერტმა ირმა გივრაძემ, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების თვალსაზრისით, აღნიშნა, რომ 2023 წელს ქვეყნის მასშტაბით ინოვაციის, ინკლუზიურობისა და ხარისხის პროექტის (I2Q) ადრეული განათლების კომპონენტის და სანდიეგოს უნივერსიტეტთან თანამშრომლობითა და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, 6 მუნიციპალიტეტს შორის შეირჩა ვანის მუნიციპალიტეტი. 2024-2025 წელს ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანების“ 15 საბავშვო ბაღი აქტიურად იყო ჩართული ზემოაღნიშნულ პროექტში. ტრენინგების შემდეგ, ტრენინგებისგან საგანმანათლებლო პერსონალთან საბავშვო ბაღებში ჩატარდა ქოუჩინგ სესიები. აღნიშნულმა პროცესმა ხელი შეუწყო საგანმანათლებლო პერსონალის პროფესიულ განვითარებას, თანამედროვე მიდგომების გაცნობასა და პრაქტიკაში დანერგვას. ინოვაციის ინკლუზიურობისა და ხარისხის პროექტის (I2Q) ადრეული განათლების კომპონენტის ფარგლებში, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით შემუშავდა განახლებული მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო - „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში (2-6წ), რომლის მიზანიც არის ქვეყნის მასშტაბით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მართვის სისტემის გაუმჯობესება და სწავლები ხარისხის ფუნდამენტური ამაღლება. შედეგად, საბავშვო ბაღებში წარმატებით დაიწყო ახალი კურიკულუმის დანერგვა,

რომელიც ეფუძნება ბავშვზე ორიენტირებულ, ინოვაციურ და თანამედროვე საგანმანათლებლო პრინციპებს. აღსანიშნავია, რომ პროექტმა მნიშვნელოვნად გაზარდა, როგორც აღმზრდელების პროფესიული კომპეტენციები, ასევე გააუმჯობესა საგანმანათლებლო გარემო და სწავლების ხარისხი. „საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ბაღების სანდიეგოს უნივერსიტეტის სკოლამდელი განათლების პროექტში მონაწილეობა წარმოადგენს წარმატებულ პრაქტიკას, რომელმაც შექმნა მყარი საფუძველი სკოლამდელი განათლების სისტემის შემდგომი განვითარებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა 1.2 "სტრატეგიული განვითარება" და 4.1 "პერსონალის მართვა და განვითარება" კომპონენტების შეფასების საკითხით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ კომპონენტებთან მიმართებით დაწესებულების სტატუსის მაძიებელს თვითშეფასების შევსებულ ფორმასთან და სხვა საჭირო დოკუმენტაციებთან ერთად წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც საკითხების მოგვარების პერიოდიდან გამომდინარე მითითებულია „მეტწილი“ შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 18:42

დასრულების დრო - 18:48

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანების (ციხესულორის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 15-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-6 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანებას (ციხესულორის საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 15-ით.

საბჭომ ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 18 ივნისისა.

მეთხუთმეტე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანების (დიხაშხოს საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირმა გივრამძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანებაში შემავალ დიხაშხოს საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 26 და 27 მარტს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ (2_6 წლამდე). სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 30. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 30 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, ირმა გივრამძემ ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ და მეორე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან,“ ხოლო მესამე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

ექსპერტმა ირმა გივრამძემ, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების თვალსაზრისით, აღნიშნა, რომ 2023 წელს ქვეყნის მასშტაბით ინოვაციის, ინკლუზიურობისა და ხარისხის პროექტის (I2Q) ადრეული განათლების კომპონენტის და სანდიეგოს უნივერსიტეტთან თანამშრომლობითა და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, 6 მუნიციპალიტეტს შორის შეირჩა ვანის მუნიციპალიტეტი.

2024-2025 წელს ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანების“ 15 საბავშვო ბაღი აქტიურად იყო ჩართული ზემოაღნიშნულ პროექტში. ტრენინგების შემდეგ, ტრენინგებისგან საგანმანათლებლო პერსონალთან საბავშვო ბაღებში ჩატარდა ქოუჩინგ სესიები. აღნიშნულმა პროცესმა ხელი შეუწყო საგანმანათლებლო პერსონალის პროფესიულ განვითარებას, თანამედროვე მიდგომების გაცნობასა და პრაქტიკაში დანერგვას. ინოვაციის ინკლუზიურობისა და ხარისხის პროექტის (I2Q) ადრეული განათლების კომპონენტის ფარგლებში, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით შემუშავდა განახლებული მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო - „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში (2-6წ), რომლის მიზანია არის ქვეყნის მასშტაბით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მართვის სისტემის გაუმჯობესება და სწავლები ხარისხის ფუნდამენტური ამაღლება. შედეგად, საბავშვო ბაღებში წარმატებით დაიწყო ახალი კურიკულუმის დანერგვა, რომელიც ეფუძნება ბავშვზე ორიენტირებულ, ინოვაციურ და თანამედროვე საგანმანათლებლო პრინციპებს. აღსანიშნავია, რომ პროექტმა მნიშვნელოვნად გაზარდა, როგორც აღზრდელის პროფესიული კომპეტენციები, ასევე გააუმჯობესა საგანმანათლებლო გარემო და სწავლების ხარისხი. „საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ბაღების სანდიგოს უნივერსიტეტის სკოლამდელი განათლების პროექტში მონაწილეობა წარმოადგენს წარმატებულ პრაქტიკას, რომელმაც შექმნა მყარი საფუძველი სკოლამდელი განათლების სისტემის შემდგომი განვითარებისთვის.

საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი, დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული ხარვეზების აღმოფხვრის პროცესში მუნიციპალიტეტის მხარდაჭერისა და ჩართულობის საკითხით.

გაერთიანების დირექტორმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი გამოთქვამს მზაობას მხარი დაუჭიროს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს ავტორიზაციის პროცესში. მისივე განმარტებით, საქმის კურსშია როგორც მუნიციპალიტეტის მერი, ისე საკრებულოს თავმჯდომარე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 19:14

დასრულების დრო - 19:19

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანების (დინაშხოს საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 30-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების

დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-6 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანებას (დიხაშხოს საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 30-ით.

საბჭომ ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 18 ივნისისა.

მეთექვსმეტე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანების (სულორის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირმა გივრაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანებაში შემავალ სულორის საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 28 და 29 მარტს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ (2_6 წლამდე). სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 15. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 15 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, ირმა გივრაძემ ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ და მეორე სტანდარტებთან

მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან,” ხოლო მესამე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან”.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

ექსპერტმა ირმა გივრამძემ, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების თვალსაზრისით, აღნიშნა, რომ 2023 წელს ქვეყნის მასშტაბით ინოვაციის, ინკლუზიურობისა და ხარისხის პროექტის (I2Q) ადრეული განათლების კომპონენტის და სანდიეგოს უნივერსიტეტთან თანამშრომლობითა და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, 6 მუნიციპალიტეტს შორის შეირჩა ვანის მუნიციპალიტეტი. 2024-2025 წელს ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანების“ 15 საბავშვო ბაღი აქტიურად იყო ჩართული ზემოაღნიშნულ პროექტში. ტრენინგების შემდეგ, ტრენინგებისგან საგანმანათლებლო პერსონალთან საბავშვო ბაღებში ჩატარდა ქოუჩინგ სესიები. აღნიშნულმა პროცესმა ხელი შეუწყო საგანმანათლებლო პერსონალის პროფესიულ განვითარებას, თანამედროვე მიდგომების გაცნობასა და პრაქტიკაში დანერგვას. ინოვაციის ინკლუზიურობისა და ხარისხის პროექტის (I2Q) ადრეული განათლების კომპონენტის ფარგლებში, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით შემუშავდა განახლებული მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო - „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში (2-6წ), რომლის მიზანიც არის ქვეყნის მასშტაბით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მართვის სისტემის გაუმჯობესება და სწავლები ხარისხის ფუნდამენტური ამაღლება. შედეგად, საბავშვო ბაღებში წარმატებით დაიწყო ახალი კურიკულუმის დანერგვა, რომელიც ეფუძნება ბავშვზე ორიენტირებულ, ინოვაციურ და თანამედროვე საგანმანათლებლო პრინციპებს. აღსანიშნავია, რომ პროექტმა მნიშვნელოვნად გაზარდა, როგორც აღმზრდელების პროფესიული კომპეტენციები, ასევე გააუმჯობესა საგანმანათლებლო გარემო და სწავლების ხარისხი. „საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ბაღების სანდიეგოს უნივერსიტეტის სკოლამდელი განათლების პროექტში მონაწილეობა წარმოადგენს წარმატებულ პრაქტიკას, რომელმაც შექმნა მყარი საფუძველი სკოლამდელი განათლების სისტემის შემდგომი განვითარებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 19:36

დასრულების დრო -19:41

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანების (სულორის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 15-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1


გადაწყვეტილება:

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-6 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანებას (სულორის საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 15-ით.

საბჭომ ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 18 ივნისისა.

დამტკიცებული დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 19:45 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩიკვილაძე თამარ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლეჟავა ეკატერინე

